

ვილია თარგამაძე

ვილნიუსის უნივერსიტეტი

რაიმონდა მინკუტე-ჰენრიკსონი

კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი

ნაცნობი თუ ჯერ კიდევ აღმოუჩენელი Z თაობა: საშუალო სკოლის მასწავლებლების ხედვა (ლიტვის მაგალითზე)

შესავალი

ახალი თაობის გაჩენა სხვადასხვაგვარად თარიღდება: ა. ფერინჯი, ლ. ჰორტოვანი, რ. სზაბო, დ. ტაროდი (2011) მიიჩნევენ, რომ Z თაობის დაბადების თარიღი 1991 წელია. ა. კროს-ბისტორმი (2010)-1994 წელს ასახელებს; კრ. შოლცი(2013)-1995-ს, დასავლელი სოციოლოგების მიხედვით ეს თარიღი შესაძლოა 1995 წელი იყოს. ასეთი კვლევა ლიტვაში არ ჩატარებულა. ასე რომ, ჰიპოთეტურად, შესაძლებელია დავასახელოთ თაობა, რომელიც ჯერ კიდევ უცნობია ჩვენთვის, რომელიც სკოლაში 1995 წლიდან მოვიდა.

21-ე საუკუნის თაობა ისე სწრაფად იზრდება, რომ საგრძნობლად უსწრებს სხვა თაობების ზრდის სისწრაფეს (ტულგანი, 2013). შესაბამისად, არ არის მარტივი მისი კვლევა. თუმცა, ის გამოკვლეულია, იკვლევენ და კვლავაც გამოიკვლევენ, რადგან მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა

თაობებისაგან. ა. კროს-ბისტორმის მიხედვით (2010), Z თაობა ბავშვობიდან ტექნოლოგიურ სამყაროში ცხოვრობს. როგორც ჯ. პალფრეი, უ. გასერი (2008) აღნიშნავენ, ციფრული თაობა მუდმივად დაკავშირებულია ინტერნეტთან. აღნიშნული შეხედულებები მიგვითითებს, რომ ეს თაობა საკმაოდ გასწავლულია მისი წინამორბედებისგან. ბევრი მეცნიერია დაინტერესებული Z თაობით და მისი სხვადასხვა ასპექტის ანალიზით, მაგალითად, კრ. შოლცი (2013) წარმოადგენს ოთხი თაობის კონცეფციას, რომელშიც ხაზს უსვამს ამ თაობის მახასიათებლებს; ს. ჰინდუია, ჯ. პატჩინი (2013) ანალიზებენ ინტერპერსონალურ კომუნიკაციას და ყურადღებას ამახვილებენ მის მახასიათებლებზე. ჯ. დრასელმა შეისწავლა ტექნოლოგიების გავლენა კომუნიკაციაზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის გზა, რომლითაც მულტილინგვალი

მოსაუბრეები იყენებენ ენას ინტერაქციისას (კანაგარაჯა ა.ს., 2007). ეს მიდგომა დაკავშირებულია სოციალურ და კრიტიკულ ტრადიციასთან. ფ. მიშნა, ა. მაკლაკი, მ. სეინტი (2009), ე. გიფორდსი (2009) და სხვები იკვლევდნენ ინტერნეტის საშუალებით მეგობრობის ასპექტებს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ლ.დ. როსენის (2012) განცხადებაზე, რომ ტექნოლოგიების გამოყენების დაუბალანსებლობამ შესაძლოა ფსიქოლოგიური დარღვევები გამოიწვიოს: ნარცისიზმი, სოციოფობია, ყურადღების გამახვილების პრობლემები, დეპრესია. ლ.დ. როსენი (2012) აყენებს საკითხს, რა იციან მასწავლებლებმა იმ ახალგაზრდების, რომლებიც დროის დიდ ნაწილს კომპიუტერებთან, სხვადასხვა სოციალურ ქსელში ატარებენ, შესახებ. ამ სტატიაში ვსვამთ შეკითხვას გარკვეულწილად განსხვავებულად: Z თაობის რომელ თვისებებს გამოყოფენ საშუალო სკოლის მასწავლებლები?

სტატიის მიზანია, დაადგინოს Z თაობის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც ლიტვის საშუალო სკოლის მასწავლებლების მიერაა დასახელებული.

კვლევის ობიექტია Z თაობის მახასიათებლები, რომლებიც მასწავლებლების მიერაა დასახელებული.

კვლევის მეთოდები: სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი, ინფორმანტების მიერ მოწოდებული მასალის ჩანაწერები.

კვლევა ეფუძნება ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომას: ადამიანები ქმნიან საკუთარ ინდივიდუალურ გაგებას და ეს არ არის ცოდნის სარკული ანარეკლი, არამედ პერსონალური რეფლექსია (კუკლა, 2000).

სტატიის აქტუალობა: Z თაობის მახასიათებლები წარმოდგენილია ლიტვის საშუალო სკოლების მასწავლებელთა ხედვის გათვალისწინებით. პრაქტიკულად შესაძლოა ამ თვისებრივი კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნეს განათლების გაძლიერებისთვის სკოლაში, ისევე როგორც სხვა კვლევის შექმნაში ამ თაობის შესახებ.

კვლევის ორგანიზება

კვლევა ჩატარდა 2014 წლის შემოდგომიდან 2015 წლის ზამთრამდე. კვლევის მიზანი იყო, დაგვედგინა Z თაობის მახასიათებლები საშუალო სკოლის მასწავლებლების ხედვით. კვლევის ობიექტია Z თაობის მახასიათებლები შესაბამისი დიდაქტიკური ხედვიდან. კვლევის მეთოდი: თვისებრივი კვლევა.

ინფორმანტები არიან პროექტის „მოსწავლეთა დახმარების ხარისხის ეფექტურობის გაზრდა. მეორე ეტაპი“ (VP1-2.3-ŠMM-04-V-03-002) მონაწილეები. ისინი

მონაწილეობდნენ სემინარებში Z თაობის შესახებ, რომელიც ვ. თარგამაძის მიერ იყო ორგანიზებული 2014/2015 აკადემიურ წლებში და ის ამ სტატიის თანავტორია. ამ პროექტში მონაწილეობისას ისინი ჩაუღმავდნენ Z თაობის გარშემო არსებულ პრობლემებს. ინფორმანტები არიან ქალაქის (7) 15 საშუალო სკოლიდან და რეგიონებიდან (8). კვლევაში 219-მა ინფორმანტმა მიიღო მონაწილეობა (თითოეულ სკოლაში სემინარის მონაწილეთა რიცხვი 15-ს არ აჭარბებდა. ჯამში 221 მონაწილიდან მხოლოდ ორმა არ შეავსო კითხვარი). კვლევა წერილობით ჩატარდა. ინფორმანტებს დაევალიათ განესაზღვრათ სამი პოზიცია, პირველი განესაზღვრათ Z თაობის ათი მთავარი თვისება, რომლებიც სკოლაში მათთან მუშაობით გამოავლინეს, მეორე-სწავლების რომელი მეთოდები არ ერგებათ მათ და რატომ, მესამე-რომელი მეთოდები ერგებათ და რატომ. ინფორმანტების პასუხები გაანალიზდა და შესაბამისი კატეგორიები და ქვეკატეგორიები გამოვლინდა. საბოლოო ჯამში Z თაობის მახასიათებლები შედგება 9 კატეგორიისა და 14 ქვეკატეგორიისაგან.

კვლევის შედეგები

ინფორმანტების პასუხების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ Z თაობის მოსწავლეების შემდეგი

მახასიათებლები: 1. აქტივობა (4 ქვეკატეგორია), 2. ტექნოლოგიებისადმი მიდრეკილება (2 ქვეკატეგორია), 3. ღირებულების ორიენტაციები (ქვეკატეგორიები არ გამოვლინდა), 4. კომუნიკაცია (ორი ქვეკატეგორია), 5. პიროვნების შეფასება (ორი ქვეკატეგორია), 6. სწავლის მიმართულებები და სწავლების თავისებურებები (არ გამოვლინდა), 7. მისწრაფებები (არ გამოვლინდა), 8. ყოფაქცევა (ორი ქვეკატეგორია), 9. კრეატიულობა (ორი ქვეკატეგორია). მასწავლებელთა განცხადებები, რომლებიც განსაზღვრავენ Z თაობას 10-ზე მეტ შემთხვევაში განმეორდა. წარმოდგენილია ის მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად ასახავდა მათ აზრს. თითოეული პოზიცია მოკლედ იქნება წარმოდგენილი.

აქტივობა შესაძლოა დაიყოს ოთხ ქვეკატეგორიად: სამუშაო აქტივობა, აქტივობის ორგანიზება, ყურადღების შენარჩუნება და აქტივობის შედეგები. ინფორმანტები აქტივობის ხასიათს შემდეგნაირად განმარტავენ: „აქტიური, იმიტომ რომ სწრაფი ცვლილებები სურთ“, „ჰიპერაქტიული იმიტომ, რომ გაკვეთილების, შესვენებების დროს ისინი მუდმივად მოძრაობენ, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებიან“, „ძალიან მოძრაები, საუბრობენ ბევრს და ხმამაღლა“, „ერთდროულად ბევრი რამის კეთება შეუძლიათ-დაწერა, კითხვა და

კომპიუტერში მუშაობა“. რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებენ დაგეგმვაზე „ვერ გეგმავენ აქტივობებს, დავალების შესრულების ვადას აცილებენ“, „ვერ გეგმავენ აქტივობებს, მეტად სპონტანურები არიან“, „ხშირად ასრულებენ ერთდროულად რამდენიმე დავალებას, ვერ გეგმავენ“, „აქვთ პრობლემები აქტივობის დაგეგმვაში, აქტივობის შინაარსში, სხვა აქტივობაზე გადადიან მალევე“, „განსაკუთრებით მაშინ, თუ რაღაც მიიქცევს მათ ყურადღებას“. ყურადღების შენარჩუნება გულისხმობს, რომ „მათ არ შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება, რადგან მალე იღლებიან ისეთი სამუშაოს შესრულებით, რომელიც შედარებით დიდ დროს მოითხოვს, მალე იღლებიან და ყურადღება სხვა რამეზე გადააქვთ“, „არ შეუძლიათ დასახონ მიზნები და დაგეგმონ მისი განხორციელების გზები“, ქვეკატეგორია „აქტივობის შედეგები“ განსაზღვრულია ინფორმანტების გარკვეული მოსაზრებებით, მაგალითად: „მათ სურთ სწრაფი შედეგი, რაც შეიძლება ცოტა ძალისხმევით“, „ცნობისმოყვარეები არიან მაგრამ ამავე დროს მოუთმენელნი - ყველაფერი ახლა და ამწუთას სურთ“, „არ ეგუებიან ჩაჭრას, წინაღმდეგობის შემთხვევაში უარს ამბობენ საჭირო შედეგის მიღებაზე“, „ადვილად ცვლიან აქტივობას, ზედაპირულად ასრულებენ, და კარგ შედეგს ვერ აღწევენ“. ინფორმანტების მოსაზრებების

ანალიზი აჩვენებს, რომ Z თაობა ძალიან აქტიურია, ასრულებენ რამდენიმე აქტივობას ერთდროულად, არ არის საკმარისად ორგანიზებული იმისთვის, რომ მიზანი იპოვოს და ხშირად ამ თაობის წარმომადგენლებისთვის რთულია ერთ კონკრეტულ აქტივობაზე კონცენტრირება, ისინი სხვა რამეებზე ამახვილებენ ყურადღებას, შესაბამისად, ყოველთვის ვერ აღწევენ დასახულ მიზანს. მათ აკლიათ უნარები მიზნების ფორმულირებისა და მათი მიღწევის გზების დაგეგმვისთვის. შესაბამისად, მასწავლებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მოსწავლეების მიზანმიმართულ ფოკუსირებაზე კონკრეტული აქტივობისკენ, რათა დაეხმარონ მათ, მოახდინონ ყურადღების კონცენტრირება, დასახონ სამოქმედო მიზნები და განახორციელონ ისინი.

შესაძლებელია, რომ ტექნოლოგიებისადმი მიდრეკილება ორ ქვეკატეგორიად დავეყოთ: ტექნოლოგიების შეგრძნება და ვირტუალურ გარემოში არსებობა. პირველის მაგალითია შემდეგი მაგალითი: „არ ეშინია ინოვაციების, ტექნოლოგიების, რადგან კარგად ფლობენ მას“, „გონიერ თაობას შეუძლია გამოიყენოს მულტიმედია ინოვაციებისთვის“, „აქვთ დიდი გამოცდილება საინფორმაციო ტექნოლოგიებში - იყენებენ აურაცხელ განსხვავებულ ხელსაწყოს“. მეორე - „სიამოვნებით

თამაშობენ კომპიუტერულ თამაშებს“, „ყველა მათგანს აინტერესებს კომპიუტერული თამაშები“, „ადვილად იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს“, „ატარებენ დიდ დროს სოციალურ ქსელებში“, „ვირტუალური გარემო მათთვის არის სახლი სახლში“ და ა.შ.

ღირებულების ორიენტაციები (მესამე კატეგორია) არ დაიყო ქვეკატეგორიებად, რადგან შეფასება თითქმის მსგავსი იყო: „მატერიალისტები - ხშირად გაიგონებთ უფროსკლასელი მოსწავლეებისაგან საუბარს ფულის ან შენაძენების შესახებ“, „მომხმარებლები - მათ ყველაფერი საუკეთესო სურთ“, „სამომხმარებლო საზოგადოება - ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები მატერიალურია“. ინფორმანტები აღნიშნავენ შემდეგ ტენდენციებს: მატერიალური ღირებულებებისა და მომხმარებლობისაკენ ტენდენცია. არავინ აღნიშნავს, ზოგად, მარადიულ ღირებულებებს. ბუნდოვანია - რატომ. შესაძლოა მასწავლებლები უბრალოდ არ აფიქსირებენ მათ, გააჩნიათ სტერეოტიპულად ნეგატიური დამოკიდებულება ახალი თაობისადმი. ყურადღების ღირსია, რომ ერთმა ინფორმანტმა აღნიშნა: ისინი „ღირებულებებში არეულნი არიან“. ნებისმიერ შემთხვევაში, ინფორმანტებისგან მიღებული ეს ინფორმაცია იძლევა მესიჯს ღირებულებების ჩამოყალიბებაში არსებული

პრობლემის შესახებ. ასე რომ, მნიშვნელოვანია გადაწყდეს, რომელი ღირებულებების ჩამოყალიბება იმსახურებს წახალისებას და რატომ.

მასწავლებლებმა უფრო მკვეთრად შეაფასეს მოსწავლეების კომუნიკაცია. რესპოდენტებმა ყურადღება არ გაამახვილეს მოსწავლეების ბილინგვურ ან მულტილინგვურ უნარზე კომუნიკაციისა. ძირითადად მათი პასუხები ორიენტირებული იყო: კომუნიკაციის გამოხატვასა და რეაქციაზე. მათ დაწერეს: „ნაკლებია ვერბალური კომუნიკაცია“, „ისინი სიამოვნების გარეშე წერენ ტექსტს“, „აქვთ ნაკლები კომუნიკაცია რეალობაში და მეტი - სოციალურ ქსელებში“, „ენის მცირედი ექსპრესია, აქვთ კომუნიკაცია აკრონიმებით“- მასწავლებლებმა ჩაიწერეს მოსწავლეთა განსხვავებული გამოხატვა (აკრონიმები, რომლებიც ვირტუალურ გარემოშია კონცენტრირებული, ადეკვატური ტექსტის ნაკლებობა და ა.შ.). მათ ასევე აღნიშნეს მოსწავლეების „ექსპრესია, რომელიც კომუნიკაციას ჩრდილავს“ - „უხეშად ამყარებენ კომუნიკაციას- მასწავლებელს თვალს თვალში უყრიან“, „თამამად გამოხატავენ საკუთარ აზრს“, „პატივცემული კომუნიკაცია უფროსებთან ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი გაბრაზებას აგრესიით პასუხობენ, სხვები ცრემლებით“, „სენსიტიურები და დაუცველები არიან

კომუნიკაციის დროს“. ზოგიერთი მასწავლებელი განსაზღვრავს კონკრეტულ პრობლემებს, მაგალითად, „თამამად გამოხატავენ საკუთარ აზრს, სურვილებს, მაგრამ სხვებს ყოველთვის არ უსმენენ- არ აქვთ თანამშრომლობის უნარი“, „დიდი დროის განმავლობაში არ იციან, როგორ ესაუბრონ უფროსს, ისინი მოგმართავენ შენობით და გაწყვეტინებენ საუბარს“, „კომუნიკაციისას შესამჩნევია, რომ უფროსს უყურებენ, როგორც მოსამსახურეს“. ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ ხანდახან კომუნიკაცია მწირია - „არ ფლობენ საკმარისად განვითარებულ კომუნიკაციის უნარებს“. შესაბამისად, ახალი თაობის მიერ დამყარებული კომუნიკაცია ტიპიურია. მასწავლებლები მას საკუთარი ემპირიული გამოცდილებიდან აფასებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია ვიზრუნოთ მოსწავლეთა კომუნიკაციაზე, მათი დახმარებით გაიგონ კომუნიკაციური განსხვავებების, მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ.

პიროვნების შეფასების შესახებ მასწავლებლებმა ყურადღება ორი მიმართულებით გაამახვილეს - მოსწავლეების თვითშეფასება და სხვების შეფასებაზე რეაქცია. მათ აღნიშნეს ძლიერი თავდაჯერებულობა, საკუთარი შესაძლებლობებისადმი არაადეკვატური დამოკიდებულება - „თავდაჯერებულნი არიან - ისინი თავს აფასებენ

იმაზე მეტად, ვიდრე ცოდნა აქვთ“, „თავდაჯერებულნი არიან - უმეტესწილად აქვთ საკუთარი აზრი და სხვის აზრს არ ითვალისწინებენ“, „თავდაჯერებულნი არიან - რასაც სთხოვ, ყველაფერი შეუძლიათ“, „ისინი არაადეკვატურად აფასებენ საკუთარ თავს - უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ საკუთარ შესაძლებლობებს“, „თავდაჯერება - ისინი დამოკიდებულნი არიან საკუთარ შესაძლებლობებზე, სიმამაცით ეჭიდებიან ნებისმიერ დავალებას“, „მამაცები არიან - რადგან დიდ თავდაჯერებას ავლენენ“ და ა. შ. ასევე აღნიშნავენ სხვების შეფასებას შემდეგნაირად: „მათ ყურადღება სურთ, სურთ მოუსმინონ და დადებითად შეაფასონ, ვერ იტანენ კრიტიკას“, „ემინიათ უარყოფითი შეფასების“ და ა. შ. ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ-ერთი ინფორმანტის შენიშვნაზე, რომ მოსწავლეებს „უყვართ და მოითხოვენ ყურადღებას, რადგან სურთ შეაფასონ“. მასწავლებელთა ხედვები ცხადყოფს, რომ აუცილებელია დავებმართო მოსწავლეებს ისწავლონ საკუთარი თავის, შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, რათა განავითარონ პოტენციალი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები.

სწავლის მიმართულებები და სწავლების თავისებურებები (კატეგორია 6. ინფორმანტებმა განსხვავებული სასწავლო მიმართულებები აღნიშნეს: „არ ავლენენ შინაგან მოტივაციას სწავლისთვის“, „ხშირად

არ სურთ სამუშაოს ხელახლა შესრულება, რათა ის გაუმჯობესდეს“, „მოითხოვენ მასწავლებლისგან დიდ ყურადღებას“, „ცნობისმოყვარეები არიან, უყვართ ინოვაციები, რადგან სურთ კითხვებზე პასუხის გაგება და არ ეშინიათ მათი ძიების“, „თუ შეცდომას დაუშვებენ, არ ანადვლებთ, არ ასრულებენ საშინაო დავალებას უმაღლეს დონეზე“, „მოითხოვენ მოტივირებას: მე ახალგაზრდა ვარ და მოტივაცია მჭირდება“, „მოტივაციის ნაკლებობა“, „ზედაპირულად ასრულებენ დავალებებს, არ მიდიან სიღრმეში, არ ამოწმებენ“. ისინი საუბრობენ მოსწავლეთა ნაკლებ მოტივაციაზე, ნაკლებ კონცენტრაციაზე საშინაო დავალებების მიმართ. ფაქტობრივად, ეს დაკავშირებულია სწავლების თავისებურებებთან, მაგალითად: „უყურადღებოები არიან, რადგან ბევრ შემთხვევით შეცდომას უშვებენ“, „იშვიათად ამახვილებენ ყურადღებას, ხშირად უშვებენ შეცდომებს, რადგან არ იციან და მოსმენაც არ სურთ“, „მოითხოვენ ინდივიდუალურ ყურადღებას“, „უფრო უჭირთ, როდესაც ფიქრი უწევთ, როდესაც ინფორმაციის მოძიება და წარმოდგენის ნაცვლად საკუთარი აზრის დაფიქსირება უწევთ“, „მუდმივად ესაჭიროებათ მოტივაცია, მოუთმენელნი არიან“. ასევე ყურადღება მახვილდება სწავლებისთვის მნიშვნელოვან შემდეგ მახასიათებლებზე: „რეალისტები: რატომ არის ამის სწავლა მნიშვნელოვანი?“,

„რატომ არის ეს აუცილებელი“ (პრაქტიკულად, ხაზგასმულია ბავშვისთვის მნიშვნელოვანი საკითხები) და მათი ცნობისმოყვარეობაა ხაზგასმული („მათ სურთ ინოვაციები. აინტერესებთ ის რაც ახალია, აღმოუჩენელია“ და „არ მოსწონთ მონოტონურობა, აინტერესებთ მათთვის მოსაწონი აქტივობები“). უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბავშვები ცნობისმოყვარეები არიან, არ გააჩნიათ მოტივაცია და ა.შ. მარტივად, რომ ვთქვათ, აუცილებელია მათი ინტერესის მხარდაჭერა, სხვადასხვა მეთოდით სწავლება, და მათთვის მოსაწონი შინაარსისა და ფორმის გამოყენება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი სასწავლო გეგმისა და კონტექსტის განახლება, რათა არ გაწყდეს კავშირი ვირტუალურ და რეალურ სივრცეს შორის, და ასევე, რომ მიეცეთ სტიმული დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

მეშვიდე კატეგორია-მისწრაფებები- დაკავშირებულია განათლებასა და თვითგანათლებასთან. თუ მოსწავლეების მისწრაფებები ადეკვატურია, მათი სწავლის შედეგები უკეთესი ხდება, როგორც ინფორმანტები აღნიშნავენ, „რადგან ზოგიერთი მოსწავლე ადეკვატურად აფასებს საკუთარ ცოდნასა და შესაძლებლობებს, მამასადაძმე მათ ესმით, რომ მათთვის აუცილებელია სწავლა, რათა უკეთესი შედეგები მიიღონ; თუმცა უმეტესი მათგანი არაადეკვატურად აფასებს მათ ცოდნასა და

შესაძლებლობებს, ისინი გადაჭარბებით აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს“, „მათ რომ შეეძლოთ თავიანთი შესაძლებლობების გააზრება, ისინი უკეთეს შედეგებს მიაღწევდნენ“. მაგრამ „მოსწავლეთა უმეტესობის მისწრაფებები საკმაოდ მაღალია და არარეალური“, „თუ მისწრაფებები ადეკვატური იქნებოდა, ისინი უკეთეს სწავლის შედეგებს მიიღებდნენ“. თუ მივიჩნევთ, რომ მოსწავლეთა სურვილები საკმაოდ მაღალია და არაადეკვატური, შესაბამისად ის გავლენას იქონიებს სწავლის შედეგებზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია დავებმართოთ მათ გაიგონ, რამდენად მნიშვნელოვანია ადეკვატური მისწრაფებები მათი კარიერისთვის.

ინფორმანტებმა გამოავლინეს ყოფაქცევის რელევანტური კატეგორიები. მათ გამოყვეს ორი ქვეკატეგორია: ნორმების და წესების შესრულება, ქცევების გამოხატვა- „არ სცემენ პატივს წესებს, რადგან მათი სიმართლე აბსოლუტურია“, „ჩვენ არ ვართ საგნები, რომ წესებს მივსდიოთ“, „არატოლერანტურები არიან“ და შემდეგი ქვეკატეგორია ასე განისაზღვრება: „ემოციურები არიან. ყოფაქცევა შეიცავს ბევრ და განსხვავებულ ემოციებს“, „ეგოცენტრულები არიან, რადგან დამატებით უზარმაზარი ყურადღება ესაჭიროებათ, სურთ პატივისცემით მოეპყრან“, „სენსიტიურები, რადგან ძალიან მკვეთრად

აღიქვამენ გარემოს“. მათ არ ჰყავთ ავტორიტეტები, „ხშირად მშობლებსაც კი არავითარი გავლენა აქვთ მათზე“, „მანიპულატორები არიან, რადგან ეგოისტურად იქცევიან“, „არ აქვთ კონცენტრაციის უნარი - მხოლოდ საკუთარ თავში იყურებიან“. შესაბამისად, ცხადია, რომ ინფორმანტებმა გამოხატეს საკმარისი შეხედულებები წესებისა და სტანდარტების გაუთვალისწინებლობის, მათი უპატივცემულობის შესახებ და ემოციური ქმედებების შესახებ. მათ აღნიშნეს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შენიშვნები. ახალგაზრდა თაობის ყოფაქცევის დეფინიცია საკმაოდ მნიშვნელოვანია; ეს კომენტარები უნდა გაანალიზდეს და უნდა მოიძებნოს ყოფაქცევის პრევენციისა და კორექციის გზები, ისევე, როგორც კარგი ყოფაქცევა უნდა იქნეს ხელშეწყობილი.

კრეატიულობა, როგორც ამ თაობის მახასიათებელი, ასევე დახასიათებულ იქნა - ინფორმანტებმა განსაზღვრეს ორი პოზიცია - კრეატიული აზროვნების დეფინიცია („არასტანდარტულად ფიქრობენ, სტერეოტიპების გარეშე“, „ორიგინალური, არასტანდარტული აზროვნება“, „სუსტი კრიტიკული აზროვნება - შეუძლიათ გამეორება ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მაგრამ უჭირთ გამეორება და საკუთარი სიტყვებით გადმოცემა“) და კრეატიულობის პრაქტიკა ემპირიულ აქტივობებში („აქვთ

უამრავი იდეა, მაგრამ ეზარებათ მათი განხორციელება“, თავიანთ ფანტაზიას პრაქტიკაში არ ახორციელებენ). როგორც ხედავთ, ზოგიერთმა ინფორმანტმა ყურადღება გაამახვილა მოსწავლეების კრეატიულობაზე, და სხვებმა - მხოლოდ შეზღუდულ გამოვლინებებზე. რთულია მათი პასუხების გაანალიზება, რადგან შესაძლოა ინფორმანტებს განსხვავებულად ესმით კრეატიულობა. თუმცა კრეატიულობის პრაქტიკაში გამოყენება, საკმაოდ ნეგატიურად შეფასდა ინფორმანტების მიერ - ისინი აღნიშნავენ, რომ არ ახორციელებენ საკუთარ იდეებს და ა.შ. შესაძლებელია ინფორმანტები არიან ასეთი შთაბეჭდილების ქვეშ, რადგან, შესაძლოა, მოსწავლეები არ ავლენენ კრეატიულობას გაკვეთილებზე, ან მასწავლებელი ვერ ხვდება მას. სიმართლე რომ ვთქვათ, შემდეგი კომენტარი: „ისინი თავს არიდებენ კრიტიკულ აზროვნებას, რადგან მათ არ აქვთ საჭირო უნარები“. ეს უკვე ხაზგასმია კრეატიულობის არასაკმარის განვითარებაზე. ასეთი შეფასება მოსწავლეების კრეატიულობისა ქმნის მისი სტიმულირების საფუძველს სკოლაში, რომელშიც, როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, ის არასაკმარისია. შესაბამისად, მასწავლებლებმა უნდა გააუმჯობესონ საკუთარი პედაგოგიური აქტივობები და

მოძებნონ შესაძლებლობები მოსწავლეთა კრეატიულობის ხელშესაწყობად.

დისკუსია

ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ახალი თაობა განსხვავებულია. მათ თავისებურებას კი ვირტუალური გარემო განსაზღვრავს. ვირტუალურ გარემოში ყოფნა განსაზღვრავს მათი კითხვის ხარისხსაც. არა ხაზოვანი, არამედ ძიებით კითხვა უფრო დომინანტურია. ჯ. ფალშენერმა (2014) მათ შორის განსხვავება შეადარა სოფლის გზაზე სიარულს - თუ ვინმე მთავარ ქუჩაზე გაივლის და მიმოიხედავს - ეს იქნება ხაზოვანი კითხვა, თუ ვინმე გაჩერდება ხან აქ ხან იქ, სადაც რაიმე საინტერესოა, ეს იქნება ძიებით კითხვა. მაშასადამე, ძიებით კითხვა, რომელიც დომინირებას იწყებს, დაკავშირებულია ინფორმაციის ფრაგმენტულად მიღებასთან. დავიმახსოვროთ, რომ ჰიპერაქტიურობა დამახასიათებელია ამ თაობისათვის და ამ თაობას შეუძლია იმუშაოს რამდენიმე დავალებაზე ერთდროულად, მაგრამ შესაძლოა ვერ გააკეთონ ანალიზი ან არადაამაკმაყოფილებელი ფორმულირება მისცენ დასკვნას. კითხვა ყოველთვის დაკავშირებულია რელევანტურ კონტექსტთან, შესაბამისად, კითხვა პრობლემური ხდება. ზოგადად, ტექსტის ზედაპირულად კითხვა პრობლემებს წარმოშობს, მაგალითად,

ხშირად დავალებები გაუგებარია, და არასწორად გაგებულ დავალებებს ასრულებენ. ჩნდება შეკითხვა ენების სწავლებისა და სწავლის შესახებ, არის თუ არა მეთოდები და სტრატეგიები შესაბამისად შერჩეული? განსაკუთრებით თანამედროვე გლობალიზებულ გარემოში, სადაც მულტილინგვიზმსა და ბილინგვიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როდესაც ახალი თაობა ინტერნეტში შედის, მათ მეტი ენები უნდა იცოდნენ, არა მხოლოდ საკუთარი მშობლიური ენა. შესაბამისად, საინტერესო იქნება, როგორ იყენებენ მულტილინგვალ მისაუბრეები საკუთარ ენას ინტერაქციისას. ახალი თაობა ჯერ კიდევ უცნობი და აღმოუჩენელია ჩვენს მიერ. შესაბამისად აუცილებელია, მოვიძიოთ ამ თაობისთვის შესაბამისი სწავლებისა და სწავლის სტრატეგიები. ეს მისცემს შესაძლებლობას მკვლევრებს, მასწავლებელთა ტრენინგებს, მასწავლებლებს - შეაფასონ პროცესი, ეს არის გამოწვევა და, ასევე დაგვეხმარება, გავიგოთ და მოვიძიოთ ოპტიმალური სტრატეგიები სწავლა-სწავლებისთვის.

სამომავლო კვლევებში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს Z თაობის წარმომადგენლების შეხედულებები და თავად როგორ აღიქვამენ საკუთარ შესაძლებლობებს, კომპეტენციებს და ა.შ. ასევე საინტერესო იქნება ზემოაღნიშნული

კონტექსტის შედარება წინა თაობის (არა მხოლოდ მასწავლებლების) დამოკიდებულებებთან ახალი თაობის მიმართ.

დასკვნა

წინამდებარე სტატიიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. მასწავლებლების მიხედვით, ახალი თაობა გამორჩეულია. ინფორმანტების მიერ შემოთავაზებული მისი დეფინიცია შესაძლებელია დაიყოს ცხრა კატეგორიად, და ზოგიერთი მათგანი ქვეკატეგორიასაც ითვალისწინებს:

1. აქტივობა (4 ქვეკატეგორია: სამუშაო აქტივობა, აქტივობის ორგანიზება, ყურადღების შენარჩუნება და აქტივობის შედეგები), 2. ტექნოლოგიებისადმი მიდრეკილება (ტექნოლოგიების შეგრძნება და ვირტუალურ გარემოში არსებობა), 3. ღირებულების ორიენტაციები (ქვეკატეგორიები არ გამოვლინდა), 4. კომუნიკაცია (კომუნიკაციის გამოხატვა და რეაქცია), 5. პიროვნების შეფასება (მოსწავლეთა თვითშეფასება და სხვების შეფასებაზე რეაქცია), 6. სწავლის მიმართულებები და სწავლების თავისებურებები (არ გამოვლინდა), 7. მისწრაფებები (არ გამოვლინდა), 8. ყოფაქცევა (ნორმების და წესების შესრულება, ქცევების გამოხატვა), 9. კრეატიულობა (კრეატიული აზროვნების

დეფინიცია და პრაქტიკა ემპირიულ ქმედებებში). თითოეული კატეგორია (ისევე, როგორც ქვეკატეგორია) ინფორმანტების მიერ ნათლად განისაზღვრა - დაწყებული მათ პოზიტიურ მახასიათებლებზე ხაზგასმით, დამთავრებული ნეგატიური შეფასებით. თუმცა, ზოგადად, თაობის განსაზღვრისას შეიმჩნევა უფრო მეტად ნეგატიური დამოკიდებულება, ვიდრე პოზიტიური. ინფორმანტების მიერ წარმოდგენილი Z თაობის დეფინიციებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ეს თაობა ჯერ კიდევ უცნობია მასწავლებლებისთვის.

2. ამ თაობის მოსწავლეების მახასიათებლები, რომლებიც მასწავლებლებმა აღნიშნეს (ღირებულების ორიენტაციები, კრეატიულობა, სწავლებისა და სწავლის მახასიათებლები და სხვები) იძლევა

მესიჯს ლიტვის სკოლებში არსებული საგანმანათლებლო პრობლემების შესახებ და გვამღევეს ბიძგს, ვეძებოთ მისი გადაჭრის შესაძლებლობები. ასე რომ, საჭიროა სასკოლო განათლების პრობლემების კვლევა სხვადასხვა მიდგომით (დიდაქტიკური, აქსიოლოგიური, ფსიქოლოგიური, მმართველობითი და სხვ); მათი გამომწვევი მიზეზებისა და პრობლემების გამოვლენა; მათი გადაჭრის გზების დასახვა სკოლის წარმომადგენლებთან ერთად და გეგმის შემუშავება; ამ გეგმის განხილვა, საუკეთესოს (ან რამდენიმე საუკეთესოს) არჩევა, აუცილებლობის შემთხვევაში მათი გასწორება და განხილვა შესაბამის ჯგუფთან; გეგმის (გეგმების) იმპლემენტირება და მონიტორინგი იმისთვის, რომ გამოვლინდეს შესაძლო ჩარევები, რათა დაინერგოს პროაქტიური მენეჯმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კანაგარაჯა ა.ს. Canagarajah, A. S. (2007). Lingua franca English, Multilingual Communities, and Language Acquisition. *Modern Language Journal*, 91, 921–937.
2. კროს-ბისტრომი ა. Cross-Bystrom A. (2010). *What You Need to Know about Generation Z*. Interactive. Internet access: <http://www.imediaconnection.com/content/27425.asp>
3. დრასელი ლ. Drussell, J. (2012). *Social Networking and Interpersonal Communication and Conflict Resolution*. Skills among College Freshmen. Interactive. Internet access: http://sophia.stkate.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1021&context=msw_papers
4. ფალშლენერი გ. Falschlehner, G., (2014) *Die Digitale generation. Jugendliche lesen anders.*- Wiena: Verlag Carl Ueberreuter.
5. ფერნიჟი ა., ჰორტოვანი ლ., ჟაბო რ., ტაროდი დ., Ferincz. A., Hortovanyi. L., Szabo. R., Tarody. D. (2011). *Changes in the Way of Work: Generation “Z” at the Labour Market*. Interactive. Internet access: https://www.google.lt/?gws_rd=cr,ssl&ei=rgppVLHMEIGAzAPE0YHYCg#q=z+generation+characteristics&start=90
6. გიფორდსი ე. Giffords, E. (2009). *The Internet and Social Work: The Next Generation*. *Families in Society: The Journal of Contemporary Social Services*, 90 (4). 413-418.
7. ჰინდუია ს., პატჩინი ჯ., Hinduja, S. & Patchin, J. (2013). *Social Influences on Cyberbullying Behaviors among Middle and High School Students*. *Journal of Adolescence*, 31. 125-146
8. კუკლა ა., Kukla, A. (2000). *Social Constructivism and the Philosophy of Science*. New York: Routledge
9. მაკკინდლი, McCrindle, M. Wolfinger, E. (2010). *The ABC of XYZ: Understanding the Global Generation*. Australia: University of New South Wales Press Ltd
10. მიშნა ფ., მაკლაჟი ა., საინტი მ., Mishna, F., McLuckie, A., & Saint, M. (2009). *Real-world Dangers in an Online Reality: A Qualitative Study Examining Online Relationships and Cyber Abuse*. *Social Work Research*, 33 (2), 107-118.
11. პალფრი დ., გასერი უ., Палфри Д., Гасер У. (2011) *Дети цифровой эры.*- Москва: Эксмо.
12. შნეკი ო., Schneck, O. (2010). *Die neue Generation Y als Herausforderung für die Diversity – Strategie an Hochschulen.*- Reutlingen: Reutlingen University

13. შოლცი კრ., Scholz Chr. (2013) Generation Z: Willkommen in der Arbeitswelt.-[Internet access:
<http://download.sap.com/germany/download.epd?context=15CBA4EB14F95426F543A9AFDAC5A08074271854ABCEA849F751EBD4813127056BC5C350BE083373D1BADEEC6CDCA5C60818EA003CF85895>. Reviewed: 2014 05 30]
14. თარგამაძე ვ.,Targamadzé V.(2015) . Tyrimas „Z kartos bruožai bendrojo ugdymo mokyklų pedagogų požiūriu“[Rankraštis] -Vilnius: Vilniaus universitetas.
15. ტულგანი ბ., Tulgan, B. (2013). Meet Generation Z: The Second Generation within the Giant "Millennial Cohort. Interactive. Internet access:
<http://rainmakerthinking.com/assets/uploads/2013/10/Gen-Z-Whitepaper.pdf>